სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N27

ქ. თბილისი „25“ „01“ 2012 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ ***სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო,***
მისი დირექტორის მოადგილის მამუკა გელოვანის სახით,
მდებარე ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ.N144 (შემდგომში - „შემსყიდველი“)
(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ ***შპს „რესტორანი ძველი მეტეხი“,***
მისი დირექტორის ნუგზარ მაჭარაშვილის სახით,
მდებარე ქ. თბილისი, მეტეხის აღმართი N3 (შემდგომში „მიმწოდებელი“),
(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

შორის.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის“ ადმინისტრაციული ხარჯების ფარგლებში „თურქეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის სოციალური დაცვის შესახებ“ შეთანხმების პროექტის განმხილველი თურქეთის რესპუბლიკის მთავრობათა წევრთათვის 2012 წლის 24 იანვრის N01–15/ო ბრძანების მე–2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესრულების უზრუნველსაყოფად საქმიანი სადილის (CPV კოდი 55000000) ორგანიზების მომსახურების შესყიდვა.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1 650 (ერთი ათას ექვსასორმოცდაათი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1.მომსახურების გაწევა განხორციელდება 2012 წლის 25 იანვარს, „რესტორანი ძველი მეტეხ“–ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მეტეხის აღმართი N3.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1.შესყიდვის ობიექტის მიღება მომსახურების დასრულებიდან 2 (ორი) სამუშაო დღეში ფორმდება „მიღება-ჩაბარების“ აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურას საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება–ჩაბარების" აქტი და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა.
6.3. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება 6.2. პუნქტში განსაზღვრული პირობის დასრულების შემდეგ 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.
6.4. „მიღება–ჩაბარების" აქტის და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენის გარეშე არ მოხდება თანხის გადახდა.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
7.1.1. ხელშეკრულების მე–4 მუხლში მითითებულ ვადებში, გაუწიოს „შემსყიდველს" ხელშეკრულების მე–2 მუხლში მითითებული მომსახურება.
7.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
7.2.1.უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დაფინანსება 6.3. და 6.4. პუნქტებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.

11.2. მხარეებს, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

12. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

12.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

12.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, "შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების კონტროლი

13.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი, სოციალური მომსახურების სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი ეკატერინე ალავიძე.

13.2. კოორდინატორის ფუნქციებია:

13.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

13.2.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმება.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

15.ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
15.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით.
15.1.2. მხარეთა შეთანხმებით.
15.1.3.საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 29 თებერვლის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 გვერდზე, 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ორი ეგზემპლარი „შემსყიდველთან“.

"შემსყიდველი"
სსიპ სოციალური მომსახურების
სააგენტო,
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N144,
საიდენტიფიკაციო კოდი N202178927

„მიმწოდებელი“
შპს „რესტორანი ძველი მეტეხი“
ქ. თბილისი, მეტეხის აღმართი N3
ს.ს. „თი ბი სი ბანკის“
მარჯანიშვილის ფილიალი
ბანკის კოდი N220101850
ანგარიშის NGE91TB1123336020100001
საიდენტიფიკაციო კოდი N206274306

მამუკა გელოვანი
დირექტორის მოადგილე

ნუგზარ მაჭარაშვილი
დირექტორი

ვიზირებულია: ნ. ხომასურიძე

იურიდიული დეპარტამენტი

ე. ალავიძე